ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2690826

ნომერი: AR1381058

თარიღი : 27.06.2016

გაცემის თარიღი : 05.07.2016

გაცნობის თარიღი : 26.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჩიტიძე პ/ნ 01002015068
- თბილისი, დ. გამრეკელის ქ 19

ორგანიზაცია:
- ფაინ თრი გრუპ კოდი: 404948802

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1381058 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე–12 კმ.–ზე არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის (საკადასტრო კოდი N01.72.14.014.633) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის საზღვარი, ახდენს ზედდებას მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.621). რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით წარმოადგენს თვითმართველი ერთეულის საკუთრებას. აქედან გამომდინარე პირველ რიგში უნდა მიმართოთ ქონების მართვის სააგენტოს მიწის ნაკვეთის კორექტირებასთან
დაკავშირებით (საკადასტრო კოდი:01.72.14.014.621), რის შემდეგაც სამსახური დაუბრუნდება აღნიშნულ საქმეს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.